სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცვლილებები დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 15 თებერვლის ოქმი #4 გადაწყვეტილებით

სასწავლო სამეცნიერო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

1. რეგულირების სფერო

1.1. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში: უნივერსიტეტის) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (შემდეგში: ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი) ადგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანების, მასალის გამოწერის, სარგებლობის, დაბრუნების საკითხებს და ბიბლიოთეკაში ქცევის წესებს;

1.2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები ეფუძნება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის წესდებას, ეთიკის კოდექსს და ბიბლიოთეკის დებულებას.

1.3. ბიბლოთეკის სარგებლობის წესი ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც იყენებს ბიბლიოთეკას სასწავლო-სამეცნიერო თუ საინფორმაციო დანიშნულებით ან/და ფიზიკურად იმყოფება ბიბლიოთეკაში.

2. სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიზანი

სასწავლო-სამეცნიერო ბიბლოთეკა არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც ახორციელებს უახლესი ლიტერატურით და სახელმძღვანელოებით სასწავლო პროგრამის უზრუნველყოფას, ქმნის შესაფერის პირობებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, რათა მათ წარმატებით და ნაყოფიერად შეძლონ პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისება და სამეცნიერო კვლევების ჩატარება.

3. გაწევრიანება

3.1. სასწავლო სამეცნიერო ბიბლიოთეკით და მასში შემავალი ვიდეო ცენტრით სარგებლობა შესაძლებელია გაწევრიანების შემდეგ;

3.2. სტუდენტების გაწევრიანება ხდება პირადი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სტუდენტის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი, უნივერიტეტის კორპორატიული ელ-ფოსტა (tafu.edu.ge), სწავლების წელი და ფაკულტეტი;

3.3. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, თანამშრომლების რეგისტრირება ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ელ-ფოსტა) საფუძველზე;

3.4. უცხო პირთათვის წიგნები შეიძლება გაიცეს მხოლოდ ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით (ბ.შ.ა.) ან ოფიციალური მომართვის საფუძველზე და რეგისტრირება ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ელ-ფოსტა) საშუალებით;

3.5. საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია შეატყობინოს ბიბლიოთეკას ამის შესახებ;

4. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა

4.1. ბიბლიოთეკას გააჩნია საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზები (I და II კორპუსში), ქართულ და უცხო ენებზე არსებული წიგნები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, საცნობარო გამოცემები, ლექსიკონები, ელექტრონული რესურსები, კომპაქტური დისკები და სხვა;

4.2. უნივერსიტეტის კორპორატიული ელ-ფოსტის მფლობელს შესაძლებლობა აქვს სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით ისარგებლოს, როგორც ადგილზე, ასევე სხვა ტერიტორიიდან. ასევე ისარგებლოს უნივერსიტეტის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში არსებული მასალით, საქართველოს საავტორო უფლებათა კანონმდებლობის გათვალისწინებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სტუმრები ამ უფლებით ვერ ისარგებლებენ.

4.3. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობისთვის მკითხველმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მიერ გაცემული სტუდენტური ბილეთი;

4.4. სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკით სარგებლობისთვის მკითხველი ვალდებულია გაეცნოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სარგებლობის წესებს.

5. სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფიზიკურ რესურსზე წვდომა

5.1. რესურსის მოძიება და შეკვეთა

ა) მკითხველს შესაძლებლობა აქვს მისთვის საინტერესო მასალა მოიძიოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში, ბიბლიოთეკაში განთავსებულ კატალოგში ან დააზუსტოს ბიბლიოთეკართან;

ბ) მკითხველებს ემსახურება ხუთი სახის კატალოგი: ალფაბეტური, სისტემური, საგნობრივი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული, ელექტრონული;

გ) საბიბლიოთეკო ერთეულის შეკვეთის შემდეგ ბიბლიოთეკარი აწვდის მკითხველს შემდეგ ინფორმაციას: ხელმისაწვდომია თუ არა მასალა, შესაძლებელია თუ არა სახლში გატანა და თუ შესაძლებელია - რა ვადით; თუ მასალა არ აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში, როგორ ისარგებლოს მკითხველმა ბიბლიოთეკათშორისი მომსახურებით ან სხვა რა ალტერნატიული მასალის გამოყენება არის შესაძლებელი.

5.2 . საბიბლიოთეკო ერთეულის გატანის წესები

ა) საბიბლიოთეკო ერთეულის გატანა/არგატანა დამოკიდებულია მასალის კატეგორიაზე, ერთეულის რაოდენობასა და მისი მოთხოვნის სიხშირეზე;

ბ) დაუშვებელია ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანა გაუფორმებლად;

გ) ბიბლიოთეკაში ერთ ეგზემპლარად არსებული მასალა სახლში არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ მასზე ყოველდღიური მოთხოვნაა, ასეთი რესურსით სარგებლობა მკითხველს შეუძლია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;

დ) დიპლომებითა და დისერტაციებით სარგებლობა მკითხველს შეუძლია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;

ე) ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა ასევე პერიოდული გამოცემები (ჟურნალები, გაზეთები), რარიტეტები (იშვიათი გამოცემები, ძველი წიგნები), ლექსიკონები, ენციკლოპედიები;

ვ) ბიბლიოთეკათშორისი სერვისის ფარგლებში მოტანილი წიგნის სახლში სარგებლობისთვის გატანა/არ გატანას განსაზღვრავს დონორი ბიბლიოთეკის წესები.

ზ) ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის უფლებით სარგებლობენ უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და თანამშრომლები;

5.3. საბიბლიოთეკო ერთეულის გატანის ვადა და დასაშვები რაოდენობა

ა) მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს წიგნის გატანის შემდეგი უფლებებით: მხატვრული ლიტერატურა – 14-21 დღე; სახელმძღვანელო (იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკაში არის საკმარისი რაოდენობა) – 14 დღე; სახელმძღვანელო (იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკაში არ არის საკმარისი რაოდენობა) – 1-7 დღე; სხვა კატეგორიის წიგნი – 14-21 დღე;

ბ) მკითხველს უფლება აქვს უნივერსიტეტის ორივე ბიბლიოთეკიდან ერთდროულად გაიტანოს 8 წიგნი.

5.4. საბიბლიოთეკო ერთეულის დაბრუნების წესები

ა) მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი დროულად, გაწერილ ვადაში, დააბრუნოს ბიბლიოთეკაში;

ბ) ბიბლიოთეკიდან გატანილი აქტიურად მოხმარებადი წიგნის სხვა მკითხველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია, წინასწარ შეთან-ხმებულ დროზე ადრე დააბრუნოს იგი. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის შეტყო-ბინებიდან არაუმეტეს 48 საათისა;

გ) მკითხველს შეუძლია გადადოს გატანილი წიგნის დაბრუნების ვადა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ წიგნზე არ არის მოთხოვნა. წიგნის დაბრუნების ვადის გადაწევის მიზნით, მკითხველი ვალდებულია შეტყობინების სახით აცნობოს ბიბლიოთეკას;

დ) დაზიანებული საბიბლიოთეკო ერთეულის დაბრუნების შემთხვევაში ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას უფლება აქვს მკითხველს მისცეს გაფრთხილება, ხოლო გაფრთხილების არაეფექტურობისას მიმართოს წესრიგის დაცვის სხვა დაშვებულ ზომებს, რომლებიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის მოქმედი კანონმდებლობით.

5.5. საბიბლიოთეკო ერთეულის დაბრუნების ვადის გადადება

ა) მკითხველი ვალდებულია დროულად დააბრუნოს საბიბლიოთეკო ერთეული ბიბლიოთეკაში;

ბ) თუ მკითხველს კვლავ სჭირდება გატანილი მასალით სარგებლობა, მას შეუძლია გადადოს საბიბლიოთეკო ერთეულის დაბრუნება (ბიბლიოთეკის პერსონალთან შეთანხმების საფუძველზე), მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ მასალაზე არ არის მოთხოვნა;

გ) თუ მკითხველი ობიქტური მიზეზების გამო (მაგ: ავადმყოფობა, ქვეყანაში არ ყოფნა და სხვ.) ვერ აბრუნებს გატანილ მასალას წინასწარ განსაზღვრულ დროში, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ბიბლიოთეკას. წინააღმდეგ შემთხვევაში მასალით სარგებლობის ვადა ჩაითვლება დარღვეულად.

5.6. გატანილი ერთეულის დაბრუნების ვადის გადაცილება და დაკარგვა

ა) გატანილი ერთეულის დაბრუნების ვადის გასვლიდან 1 თვის შემდეგ, მკითხველი ვეღარ შეძლებს ბიბლიოთეკიდან სხვა საინფორმაციო რესურსის გატანას მის ფარგლებს გარეთ 1 წლის განმავლობაში;

ბ) გატანილი ერთეულის დაბრუნების ვადის გასვლიდან არაუმეტეს 5 დღიდან 1 თვემდე პერიოდისა, მკითხველს ეძლევა გაფრთხილება, ასევე გაფრთხილებას იღებს იმ შემთხვევაში, თუ 5 ან 5 დღეზე ნაკლები ვადით გაცემული წიგნის დაბრუნება დააგვიანა 1 დღეზე მეტი ვადით. 1 თვეზე ნაკლები ვადით 3-ჯერ დაგვიანების შემთხვევაში მკითხველი ვეღარ შეძლებს ბიბლიოთეკიდან სხვა საინფორმაციო რესურსის გატანას მის ფარგლებს გარეთ 1 წლის განმავლობაში;

დ) ერთი წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია ჩაანაცვლოს იმავე დასახელების წიგნით და საბიბლიოთეკო კომისიის მიერ დადგენილი სხვა აქტუალური ლიტერატურით (აქტუალურ ლიტერატურას განსაზღვრავს, მკითხ-

ველის მიერ დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეულების ჩანაცვლებისა და აქტუალური ლიტერატურის განსაზღვრის წესი), გამონაკლის შემთხვევაში კი, როდესაც მკითხველის მიერ დაკარგული წიგნი არ არის გაყიდვაში, სხვა ორი აქტუალური წიგნით;

ვ) კურსდამთავრებულთათვის აკრძალულია დიპლომის გაცემა ბიბლიოთეკის თანამშრომლის მიერ გაცემული „შემოვლის ფურცლის“ (დავალიანების არქონა) წარდგენის გარეშე.

6. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისგან გაფრთხილება

ა) მკითხველი ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისგან გაფრთხილებას იღებს: გატანილი ერთეულის ვადის გასვლის გამო, აქტიურად მოთხოვნადი მასალის სხვა მკითხველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) დაბრუნების ვადის გასვლიდან 10-დან 20 დღის ფარგლებში, ბიბლიოთეკარი მკითხველს უგზავნის გაფრთხილებას გატანილი ერთეულის დაგვიანების შესახებ;

გ) გატანილი მასალის დაბრუნების ვადის გადაცილების შესახებ შეტყობინების მიუღებლობა არ ათავისუფლებს მკითხველს დაკისრებული ვალდებულებებისგან.

7. ბიბლიოთეკათშორისი სერვისით სარგებლობა

ა) ბიბლიოთეკათშორისი სერვისი უზრუნველყოფს მკითხველს ისეთი მასალით, რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კოლექციაში არ მოიპოვება;

ბ) ბიბლიოთეკათშორისი სერვისის ფარგლებში, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ გარკვეული კატეგორიის წიგნები გაიტანონ ბიბლიოთეკიდან 6 სამუშაო დღის განმავლობაში, ნაწილით კი ისარგებლონ ადგილზე, სამკითხველო დარბაზში. დანარჩენ მკითხველს კი უფლება აქვთ გამოწერილი ლიტერატურა გამოიყენონ მხოლოდ ადგილზე;

გ) მკითხველს უფლება აქვს ბიბლიოთეკათშორისი სერვისის ფარგლებში ერთდროულად შეუკვეთოს არაუმეტეს 3 წიგნი.

8. შეკითხვა ბიბლიოთეკარს

მკითხველს უფლება აქვს ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ (მუშაობის განრიგი, ამა თუ იმ მედიის მისაწვდომობა, გატანის ვადები და ა.შ.) ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად მიმართოს ბიბლიოთეკას, როგორც პირადად, ასევე სატელეფონო და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით (უნივერსიტეტის facebook გვერდი, ელ. ფოსტა);

9. ინტერნეტ რესურსებით სარგებლობა

ა) ბიბლიოთეკის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის უფლება აქვს უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკის ყველა წარმომადგენელს;

ბ) კომპიუტერითა და ინტერნეტით სარგებლობა არის უფასო, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ასევე ისარგებლოს უკაბელო ინტერნეტით;

გ) ბიბლიოთეკის სივრცეში განთავსებული კომპიუტერული მოწყობილობებით სარ-გებლობა დასაშვებია მხოლოდ სასწავლო მიზნით.

10. ასლის გადაღებისა და მასალის ამობეჭდვის სერვისი

ა) მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს საავტორო უფლებების დაცვის ინსტრუქციების შესაბამისად სხვადასხვა სასწავლო, კვლევითი და მხატვრული ლიტერატურის ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის სერვისით (დაუშვებელია დიპლომებისა და დისერტაციების ასლის გადაღება);

ბ) ასლის გადაღებისა და მასალის ამობეჭდვის მომსახურებით სარგებლობა შესაძ-ლებელია წინასწარ შეკვეთის საფუძველზეც, როგორც პირადად, ასევე ონლაინ რეჟიმში, ელ. ფოსტის საშუალებით;

გ) წინასწარი შეკვეთისას, მომხმარებელი მასალის ასლს ან/და ამობეჭდილ ვერსიას იღებს არაუმეტეს ორი სამუშაო დღის ვადაში.

11. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

ა) მკითხველი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის ეთიკის სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) მკითხველი ვალდებულია პატივი სცეს როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ასევე სხვა მომხმარებლის უფლებებს;

გ) გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

დ) ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე მკითხველი ვალდებულია: გადაიყვანოს მობილური ტელეფონი უხმო რეჟიმზე, დაიცვას სიჩუმე, ჯგუფური მუშაობისას არ შეუშალოს ხელი სხვა მკითხველს;

ე) საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის შემდეგ თვითნებურად არ დააბრუნოს ისინი თაროზე, არამედ ჩააბაროს ბიბლიოთეკარს;

ვ) წიგნის ან სხვა მასალის მიღებისას შეამოწმოს ის და დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

ზ) ბიბლიოთეკაში დაუშვებელია საკვები პროდუქტების შეტანა, გარდა ბოთლში ჩამოსხმული წყლისა და სხვა მინერალური სასმელებისა;

თ) მკითხველს ეკრძალება ბიბლიოთეკიდან წიგნის ან სხვა რესურსის ბიბლიო-თეკარის მიერ სპეციალური ჩანაწერის გაკეთების გარეშე, თვითნებურად გატანა.

12. სანქციები ქცევის წესების დარღვევისას

ა) მკითხველის მიერ თანამშრომლის ან ბიბლიოთეკის სხვა მომხმარებლის შეურაცხყოფისას, მკითხველს ეკისრება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის სტანდარტებით გათვალისწინებული პროპორციული დისციპლინარული სასჯელი;

ბ) მკითხველის მიერ ბიბლიოთეკის რესურსისა და ინვენტარის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში, ბრალეულობის დადგენისას, მკითხველს ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა და ზარალის სრული ანაზღაურება;

გ) სამკითხველო დარბაზში სიჩუმის დარღვევისას (ხმამაღალი საუბარი, მობილურის ზარი და ა.შ.) მკითხველი ბიბლიოთეკარისგან იღებს სიტყვიერ გაფრთხილებას. მსგავსი დარღვევის ორჯერ განმეორების შემთხვევაში ტოვებს სამკითხველო დარბაზს;

დ) მკითხველის მიერ საბიბლიოთეკო რესურსის ბიბლიოთეკიდან თვითნებურად გატანისას, მომხმარებელს ეკისრება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი.

13. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებში ცვლილება-დამატებების შესახებ

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებში ცვლილება-დამატებების შეტანა ხორციელდება ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში (მათ შორის ბიბლიოთეკაში) მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, ასევე უნივერსიტეტში უფლებამოსილი პირის ინიციატივით, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.